ესაბამისად.

დანართი №

სენაკის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთი და გადახდის წესის შესახებ

ინსტრუქცია

ეს ინსტრუქცია შემუშავებულია „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების წარმომქნელთა მიერ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის წესს.

მუხლი 1. ზოგადი ნაწილი

1. ეს წესი აწესრიგებს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმომქმნელთა მიერ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსაკრებლის განაკვეთების დაწესების, გადახდის წესსა და მოსაკრებლის გადამხდელთა უფლება-მოვალეობებს.

2. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი (შემდგომში - მოსაკრებელი), წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გაწეული მომსახურების საფასურს.

3. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავება გულისხმობს სენაკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებას, ტრანსპორტირებას, გაუვნებლობასა და მათი განთავსების საბოლოო ადგილების მოვლა-პატრონობას.

4. საყოფაცხოვრებო ნარჩენები არის ნარჩენები, რომლებსაც საცხოვრებელ სახლებში და ბინებში ცხოვრებისას, მიწის ნაკვეთებისა და მასზე მდებარე შენობის ნაწილებში, საერთო საცხოვრებელსა ან გაქირავებულ ბინებში წარმოქმნის მოსახლეობა, აგრეთვე სენაკის ტერიტორიაზე მყოფი და/ან მოქმედი ნებისმიერი პირების მიერ წარმოქმნილი ანალოგიური ნარჩენები.

5. მოსაკრებლის გადაუხდელობა, გადახდევინების ვადების დარღვევა ითვლება დასუფთავების წესების დარღვევად და დამრღვევის მიმართ გატარებული იქნება საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდამრღვევთა კოდექსით გათვალისწინებული ნორმები.

6. სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოსაკრებლის ამოსაღებად იურიდიული პირებთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში მოსაკრებელი გადაიხდევინება ამ წესის მიხედვით.

მუხლი 2. მოსაკრებლის გადამხდელი

მოსაკრებლის გადამხდელები არიან ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომლებიც თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე წარმოქმნიან ნარჩენებს.

მუხლი 3. მოსაკრებლის განაკვეთი, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესი

1. მოსაკრებლის განაკვეთი, როგორც წესი, წესდება სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავებისათვის კალენდარული წლისათვის საჭირო ხარჯების შესაბამისად.

2. მოსაკრებელი გაიანგარიშება მოსახლეობისათვის - სულადობის მიხედვით, ორგანიზაციების დაწესებულებებისა და იურიდიული პირებისათვის - ნარჩენების დაგროვების ნორმის, დაკავებული ფართობის და მომხმარებელთა რაოდენობის კომბინაციით:

ა) ერთ სულ მოსახლეზე 0,50 ლარი თვეში, ხოლო სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 70000-მდე ქულის მქონე ოჯახებისთვის ერთ სულ მოსახლეზე 0,30 ლარი თვეში;

ბ) იურიდიული პირებისათვის, ორგანიზაციებისათვის, დაწესებულებებისათვის შემდეგი სახით:

				მოსაკრებლის

№	სამეწარმეო საქმიანობა	საზომი ერთეული	ნარჩენების წლიური დაგროვების ნორმა $მ^3$	ნარჩენების ზომის ერთეულზე (სვეტი №4:12თვე X 10 ლარი) $1მ^3$ ნარჩენის გატანის მომსახურების ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5
1	მუზეუმები, ბიბლიოთეკები, არქივები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	საერთო ფართის 1 $მ^2$	0,048	0,04
2	ოფისები, სააგენტოები, პროფესიული და სახელმწიფო ორგანიზაციები, ბანკები და საკრედიტო ორგანიზაციები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	საერთო ფართის 1 $მ^2$	0,04	0,03
3	კინოთეატრები და თეატრები	მაყურებლის ერთი სავარძელი	0,048	0,04
4	სკოლები, კოლეჯები, საბავშვო ბაგა-ბაღები, საგანმანათლებლო დაწესებულებები	ერთ მოსწავლეზე	0,06	0,05
5	სასტუმროები	1 საწოლზე	0,24	0,2
6	საავადმყოფოები	ერთი საწოლი	0,12	0,1
7	პოლიკლინიკები, სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრები, ექიმებისა და სტომატოლოგიური კაბინეტები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	საერთო ფართის 1 $მ^2$	0,08	0,07
8	სასურსათო საქონლის მაღაზიები	საერთო ფართის 2	0,38	0,32

	სამრეწველო საქონლის მაღაზიები და აფთიაქები (სავაჭრო დარბაზი)	საერთო ფართის 1 $მ^2$	0,125	0,1
10	აგრარული ბაზრები და შერეული საქონლის ბაზრობები	საერთო ფართის 1 $მ^2$	0,15	0,125
11	ავტოგასამართი სადგურები	საერთო ფართის 1 $მ^2$	0,04	0,03
12	ა/მანქანებისსარემონტო სადგურები, ტექ მომსახურეობის ადგილები	ღია საერთო ფართის 1 $მ^2$	0,012	0,01
		დახურული ფართის 1 $მ^2$	0,06	0,05
13	სადალაქოები და სილამაზის სალონები	საერთო ფართის 1 $მ^2$	0,12	0,1
14	მცირე სამეწარმეო საქმიანობა (საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები)	საერთო ფართის 1 $მ^2$	0,096	0,08
15	რესტორნები, პიცერიები, სასადილოები, კაფეები და ბარები	ერთ დასაჯდომ ადგილზე	0,6	0,5
16	საცხობები	სამუშაო ფართის 1 $მ^2$	0,12	0,1
17	ტოტალიზატორები, სათამაშო და გასართობი ცენტრები	საერთო ფართის 1 $მ^2$	0,18	0,15
18	აეროპორტი, რკინიგზის და საავტომობილო სადგურები	ღია საერთო ფართის 1 $მ^2$	0,012	0,01
		დახურული ფართის 1 $მ^2$	0,12	0,1
19	სამხედრო ნაწილები	ერთი ადგილი	0,3	0,25